განკარგულება:**გ-47. 47252107**
თარიღი:**29/07/2025**

განკარგულება N28

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N9 ქუჩისთვის ფილიპე მგალობლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების თანახმად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N9 ქუჩას მიენიჭოს ფილიპე მგალობლიშვილის სახელი, თანდართული ორთოფოტოს შესაბამისად. (დანართი თან ერთვის)

მუხლი 2.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 4 .

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი